



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ოქმი:ო87.8722063001

თარიღი:04/03/2022

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
მორიგი სხდომის
ოქმი № 4**

ქ. ახმეტა

2 მარტი, 2022 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა: იოსები ქარუმაშვილი - ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ს ხ დ ო მ ა ს ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ:

საკრებულოს წევრები: შ.ხოხობაშვილი, გ.ბართიშვილი, თ.ყვინიშვილი,

თ.ბორჩაშვილი, ხ.იჩუაიძე, ზ. ფიცხელაური,

გ. ქიბროწაშვილი, გ.შაშიაშვილი, კ.მამულაშვილი,

ზ.უძილაური, ე.ბაღაკაშვილი, ბ.კაიშვილი,

გ. ონიაშვილი, გ.მამუჩარაშვილი, რ.გახუაშვილი,

დ.აგაზაშვილი, თ.მოზაიძე, გ.უძილაური,

ფ.შიომღვდლიშვილი, შ. ტერტერაშვილი,

გ. შორთიშვილი, ლ. მუთოშვილი, ე. მარკოზაშვილი,

კ. მაზიაშვილი, კ. მუხაური, ს. ბაბულაიძე,

ლ. ჭიჭიკოშვილი.

სხდომა გაიხსნა 11⁰⁰ საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, იოსებ ქარუმაშვილმა დამსწრე საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

- 1. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ;**

2. „ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - ნათელა ექვთიმიშვილი/

3. ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ის თავმჯდომარის მოადგილედ, ლევან ჭიჭიკოშვილის არჩევის ცნობად მიღების შესახებ;

/მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი/

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მიღებას.

სხდომას ესწრება - 28 საკრებულოს წევრი

მომხრე - 28

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

ა) საკრებულოს ახალი რეგლამენტის დამტკიცება გამოწვეულია იმით, რომ ამჟამად მოქმედ რეგლამენტში არ არის ასახული „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“, სხვა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტებში მომხდარი ცვლილებები, რასაც ადგილი ჰქონდა ამ რეგლამენტის მიღების შემდეგ.

პროექტის თანახმად, რეგლამენტი შედგება პრეამბულის, 21 თავისა და 137 მუხლისაგან.

მოქმედი რეგლამენტი შეიცავს ნორმატიულ, ტერმინოლოგიურ და გრამატიკულ უზუსტობას, რაც საჭიროებს გასწორებას. რეგლამენტის ახალ პროექტში ეს ხარვეზები აღმოფხვრილია.

ახალი რეგლამენტის პროექტი სრულად შეესაბამება საქართველოს მოქმედ საკანონმდებლო აქტებს, მასში სრულყოფილად არის ასახული საკრებულოს და მისი ორგანოების სტრუქტურა, უფლებამოსილებები, საქმიანობის წესი, ასევე საკრებულოს წევრისა და საკრებულოს თანამდებობის პირების სტატუსი, უფლებები და მოვალეობები.

რეგლამენტის პროექტი შედგენილია განსხვავებული სტრუქტურით, ტექსტიდან ამოღებულია კანონთან შეუსაბამო ნორმები, შეტანილია ტერმინოლოგიური დაზუსტებები საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში გამოყენებული ტერმინოლოგიის ანალოგიით (მაგალითად, „თანამდებობის პირის გადარჩევა“, „კენჭისყრის მოწყობა“, „დროებითი სამანდატო კომისია“, იდენტური შინაარსის ტერმინების „თვითმმართველი ერთეული“ და „მუნიციპალიტეტი“ ერთდროულად გამოყენება სხვ.).

რეგლამენტის მე-3 მუხლში საკრებულოს უფლებამოსილებები (მათ შორის, მთავრობის სხვადასხვა დადგენილებებით დელეგირებული) ჩამოთვლილია ამომწურავად, ხოლო მე-4 მუხლით განსაზღვრულია ამ უფლებამოსილებათა განხორციელების ძირითადი პრინციპები.

ჩამონათვალში მითითებულია ისეთი საკითხები, რაც დღემდე ასახული არ ყოფილა მათი საკანონმდებლო სიახლის ან სხვა მიზეზთა გამო (მუნიციპალური საწარმოების დაშლა, საკრებულოს საქმიანობის ვადამდე შეჩერება და შეწყვეტა, პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის შემოღება, საჯარო სამართლის იურიდიული პირების (ტერიტორიული კორპორაციების) დაფუძნება და გაუქმება)).

მე-7 მუხლში დაზუსტებულია სახელმწიფო სიმბოლოების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხი (შესაბამის ნორმატიულ აქტებზე მითითებით).

მე-8 მუხლში ამომწურავად არის ჩამოთვლილი თუ რომელი გადაწყვეტილებები მიიღება საკრებულოს მიერ ჩვეულებრივი წესით და რომელი უბრალო ან კვალიფიციური უმრავლესობით.

საკრებულოს სხდომისას დარბაზში იკრძალება არა მხოლოდ იარაღის, არამედ კანონით აკრძალული ნებისმიერი საგნის და საკრებულოს საქმიანობასთან შეუთავსებელი ნივთების შეტანა (მე-9 მუხლი).

პროექტში დეტალურად იქნა ასახული საკრებულოს წევრისა და თანამდებობის პირის უფლებამოსილების ვადამდე შეჩერებისა და შეწყვეტის საკითხები (მუხლი 14), ასევე მერის უფლებამოსილების შეჩერებისა და შეწყვეტის შემთხვევები (მუხლი 101).

ბოლო პერიოდში მომხდარი საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად არის მოწესრიგებული საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეების არჩევის, ბიუროს უფლებამოსილებების, საკრებულოს კომისიების შექმნის, ფრაქციების შექმნისა და რეგისტრაციის, საკრებულოს უმრავლესობისა და ოპოზიციის რეგისტრაციის საკითხები.

საკრებულოს ბიუროს და კომისიების სხდომებზე კენჭისყრის შესახებ ნორმებიდან ამოღებულია ხმების თანაბრობის შემთხვევაში თავმჯდომარის გადაწყვეტი ხმის პრინციპი, ვინაიდან, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 45-ე მუხლის შესაბამისად, საკრებულოს ყველა წევრი ნებისმიერი საკითხის განხილვისას სარგებლობს გადაწყვეტი ხმის უფლებით.

საბიუჯეტო და საფინანსო ნორმატიულ აქტებთან დაკავშირებული ნორმები შესაბამისობაში იქნა მოყვანილი საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნებთან.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არის ჩამოყალიბებული ნორმები, რომლებიც შეეხება საკრებულოს მიერ სამართლებრივი აქტების მიღებას, გაფორმებას, გამოქვეყნებას და ძალაში შესვლას (თავი XII).

საკრებულოს სათათბირო ორგანოს სახელწოდება შეცვლილია და ნაცვლად საზოგადოებრივი დარბაზისა მითითებულია საზოგადოებრივი საბჭო. მისი ფუნქციები ასახულია შეზღუდულად და ჩაწერილია, რომ საბჭოსთან დაკავშირებული საკითხები წესრიგდება დებულებით, რომელსაც განკარგულებით ამტკიცებს საკრებულო.

პეტიციის, დასახლების საერთო კრების და მერისთვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ მუხლები ტექსტობრივად შემცირებულია და მითითებულია

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამის მუხლებზე, სადაც ეს საკითხები მოწესრიგებულია დეტალურად.

ცალკე თავები ეძღვნება საკრებულოს საქმიანობის შეჩერებისა და ვადამდე შეწყვეტის, საჯარო სამართლის იურიდიული პირების შექმნის საკითხებს (თავი 19 და 20).

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოქმედი რეგლამენტი ცხადდება ძალადაკარგულად.

ბ) დადგენილების მიღება არ აისახება ახმეტის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

გ) წარმოდგენილი პროექტი შესაძლებელია მიღებულ იქნეს საკრებულოს უახლოეს მორიგ სხდომაზე.

დ) პროექტი განხილულია საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომაზე. მისი შეთანხმება ახმეტის მუნიციპალიტეტის ორგანოებთან ან თანამდებობის პირებთან სავალდებულო არ არის.

ე) პროექტის ავტორი - საკრებულოს წევრი **გელა შაშიაშვილი**.

ვ) კანონის შესაბამისად, რეგლამენტის პროექტს საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს საკრებულოს თავმჯდომარე („ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტი). მიზანშეწონილია საკრებულოს და ბიუროს სხდომებზე დელეგირების წესით მომხსენებლად ან თანამომხსენებლად დაინიშნოს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის მიღება.

სხდომას ესწრება 28 საკრებულოს წევრი.

მომხრე - 28

საკითხი ერთხმად იქნა მიღებული.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №26 „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“;

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - ნათელა ექვთიმიშვილი/

მომხსენებელმა გააცნო:

„ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 დეკემბრის N18 დადგენილებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

პროექტის მიხედვით სოციალურ პროგრამას ემატება ახალი სამიზნე ჯგუფი (100 წლის ასაკს გადაცილებული პირები), ასევე იცვლება ეკონომიკურად გაჭირვებული და სოციალურად დაუცველი მოქალაქეების სტაციონარში

მკურნალობის, ოპერაციის, გამოკვლევების დაფინანსება, აგრეთვე ხდება ტერმინთა ცვლილება და მოქალაქეთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების დაზუსტება, ასევე სოციალური დახმარების მისაღებად განცხადების წარდგენის ვადის დაზუსტება. ნორმატიული აქტის პროექტის მიზეზი არის შემოაღნიშნული ცვლილებები.

ა.ბ) ნორმატიული აქტის პროექტის მიზანი

ნორმატიული აქტის პროექტის მიზანია დადგენილებაში ცვლილების შეტანის გზით სოციალური დახმარების მიმღებთა წრის გაფართოება, ტერმინთა დაზუსტება, სოციალური დახმარების მიმღებთათვის სოციალური დახმარების ოდენობის გაზრდა.

ა.გ) ნორმატიული აქტის პროექტის ძირითადი არსი:

ნორმატიული აქტის პროექტის მიხედვით ცვლილება შედის ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2022 წლის პროგრამაში. კერძოდ:

2. მე-5 მუხლის „კ“ ქვეპუნქტში (გარდაცვლილ ომის ვეტერანთა ოჯახების დახმარება) ხდება ვადის დაზუსტება, კერძოდ, მერიას უნდა მომართონ ომის ვეტერანის გარდაცვალებიდან არა უგვიანეს 3 თვისა.

1. მე-5 მუხლის „შ“ ქვეპუნქტში ხდება ტერმინის ცვლილება. ამჟამად მოქმედი რედაქციით ეს პუნქტი არის - მწოლიარე ავადმყოფი (ლოგინს მიჯაჭვული) და სხვადასხვა პათოლოგიების გამო მუდმივად პამპერსით მოსარგებლე პირები. ცვლილების შედეგად ტერმინი - „მწოლიარე ავადმყოფი“ ამოღებული იქნება.

2. მე-5 მუხლს დაემატება „ძ“ ქვეპუნქტი რომლის მიხედვითაც დაემატება სოციალური დახმარების მიმღები ახალი ჯგუფი - 100 წლის ასაკს გადაცილებული პირები.

3. მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტში სადაც საუბარია სოციალური დახმარების ოდენობაზე, ცვლილება შედის და აღნიშნული ქვეპუნქტი ჩამოყალიბდება შემდეგნაირად:

ა) ეკონომიკურად გაჭირვებულ და სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა სტაციონარში ჩატარებული მკურნალობის, ოპერაციის (სახელმწიფოს მიერ ასანაზღაურებელი მოქმედი სატარიფო არეალით განსაზღვრული ღირებულების გათვალისწინებით) გამოკვლევების დაფინანსება, ახმეტის მუნიციპალიტეტში ფაქტობრივად მცხოვრები ბინადრობის ნებართვის მქონე პირების მკურნალობის დაფინანსება მწვავე გადაუდებელ შემთხვევებში, ცერებრალური დამბლით დაავადებული, ფსიქომორტორული და სხვა მოტორული პათოლოგიის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციისათვის საჭირო პროცედურების დაფინანსება (გარდა ესთეტიკური ქირურგიის, კოსმეტიკური მიზნით ჩატარებული მკურნალობის და ლოგოპედიის მომსახურებისა) გადასახდელი თანხის 50%-მდე, (300 ლარიდან ზემოთ) წელიწადში არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა დაფინანსდებიან ის მოქალაქეები, რომლებიც არ არიან სიღარიბის ზღვარს ქვემოთ, ხოლო ის მოქალაქეები, რომელთა სარეიტინგო ქულაა 120 000-მდე, დაფინანსდებიან გადასახდელი თანხის 70%-მდე, არაუმეტეს 1000 ლარისა.

ამჟამად აღნიშნული ქვეპუნქტი არის შემდეგი რედაქციით:

ეკონომიკურად გაჭირვებულ და სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა სტაციონარში ჩატარებული მკურნალობის, ოპერაციის (სახელმწიფოს მიერ ასანაზღაურებელი მოქმედი სატარიფო არეალით განსაზღვრული ღირებულების გათვალისწინებით) გამოკვლევების დაფინანსება, ახმეტის მუნიციპალიტეტში ფაქტობრივად მცხოვრები ბინადრობის ნებართვის მქონე პირების მკურნალობის დაფინანსება მწვავე გადაუდებელ შემთხვევებში, ცერებრალური დამბლით დაავადებული, ფსიქომორტორული და სხვა მოტორული პათოლოგიის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციისათვის საჭირო პროცედურების დაფინანსება (გარდა

ესთეტიკური ქირურგიის, კოსმეტიკური მიზნით ჩატარებული მკურნალობის და ლოგოპედიის მომსახურებისა) გადასახდელი თანხის 50 %-ით, წელიწადში არაუმეტეს 1000 ლარით დაფინანსდება ყველა მოქალაქე; მოქალაქის მიერ 500 ლარამდე გადასახდელი თანხის შემთხვევაში 100% -ით დაფინანსდება მხოლოდ ის ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 120 000-მდე, ხოლო მოქალაქის მიერ 300 ლარამდე გადასახდელი თანხის შემთხვევაში აღნიშნული პროგრამით ისარგებლებს მხოლოდ ის ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულა არის 120 000-მდე.

4. მე-6 მუხლის „შ“ ქვეპუნქტში ისევე როგორც მე-5 მუხლის „შ“ ქვეპუნქტში ხდება ტერმინის ცვლილება.

5. მე-6 მუხლს დაემატება „ძ“ ქვეპუნქტი - 100 წლის ასაკს გადაცილებულ პირთა დახმარება წელიწადში ერთხელ - 500 ლარის ოდენობით.

6. მე-7 მუხლის მე-8 პუნქტში ხდება დაზუსტება იმისა, რომ მოხდება უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვის ხარჯების დაფინანსება რეგისტრაციის ადგილის მიუხედავად. ამ შემთხვევაში განცხადება წარდგენილ უნდა იქნეს უპატრონო მიცვალების გარდაცვალებიდან 1 თვის ვადაში.

7. მე-7 მუხლს ემატება 8¹ პუნქტი - ომის ვეტერანის გარდაცვალების შემთხვევაში, დაკრძალვის სარიტუალო ხარჯების ანაზღაურებისათვის განცხადებით უნდა მიმართონ მერიას ომის ვეტერანის გარდაცვალებიდან არა უგვიანეს 3 თვისა.

8. მე-8 მუხლის მე-16 პუნქტში ხდება წარმოსადგენი დოკუმენტაციის დაზუსტება, კერძოდ, ვეტერანის მოწმობის ასლი და უფლებამოსილი პირის ანგარიშის ნომერი ბანკიდან.

9. მე-8 მუხლის 21-ე პუნქტში ხდება ტერმინის ცვლილება. ამოღებული იქნება - „მუდმივად მწოლიარე“.

10. მე-8 მუხლს დაემატება 24-ე პუნქტი, სადაც საუბარია 100 წლის ასაკს გადაცილებული პირებისთვის დახმარების მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის მიღება.

სხდომას ესწრება 28 წევრი.

მომხრე - 18

წინააღმდეგი - (5)შ. ტერტერაშვილი, კ.მუხაური, ლ. ჭიჭიკოშვილი, ს. ბაბუღიაძე, ლ. მუთოშვილი.

მონაწილეობა არ მიიღო - (5) გ. შორთიშვილი, კ. მაზიაშვილი, ე. მარკოზაშვილი, გ. უძილაური, ფ. შიომღვიმელი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება № : 27,, „ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მოისმინეს: ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ის თავმჯდომარის მოადგილედ, ლევან ჭიჭიკოშვილის არჩევის ცნობად მიღების შესახებ;

/მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო: ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ის თავმჯდომარის მოადგილედ, ლევან ჭიჭიკოშვილის არჩევის ცნობად მიღების შესახებ;

საკითხი ცნობად იქნა მიღებული.

„გახარია საქართველოსთვის“ პარტიის წევრმა, თინათინ მოზაიძემ გააკეთა განცხადება ახმეტაში მუნიციპალური ტრანსპორტის დანიშვნის აუცილებლობის შესახებ.

რაზეც, საკრებულოს თავმჯდომარემ იოსებ ქარუმაშვილმა უპასუხა: რა თქმა უნდა მივესალმები ქ. ახმეტას მოემსახუროს საზოგადოებრივი ტრანსპორტი, თუმცა ვფიქრობ, რომ ახმეტის მუნიციპალიტეტის რიგი სოფლები უფრო საჭიროებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის დანიშვნას.

საკრებულოს სხდომა დაიხურა 12:05 საათზე.

იოსებ ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

